ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის III კვარტლის ბიუჯეტის (იანვარ -სექტემბრის თვის) შესრულების ანგარიში

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 23 დეკემბერს N31 დადგენილებით 22869.0 ათასი ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა განსაზღვრულია 3097.4 ლარი. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად განსაზღვრულია 230,0 ათასი ლარით. კაპიტალური ტრანსფერი 2867.4 ათასი ლარით.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 19719.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 11967.7 ათასი ლარი გადასახადების სახით, აქედან ქონების გადასახადი შეადგენს 2600.0 ათას ლარს, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი 1275.0 ათას ლარს, ფიზიკურ პირთა ქონების გადსახადი 10.0 ათას ლარს, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 65.0 ათას ლარს, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 1250 ლარს. დამატებითი ღირებულების გადასახადი განისაზღვრა 9367.7 ათასი ლარით. სხვა შემოსავლები (არასაგადასახადო) 7751.9 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **52.0** ათასი ლარით. შემოსავლები ხვედრითი წილის მიხედვით მთლიან ბიუჯეტში ასე გამოიყურება:



2020 წლის იანვარ - სექტემბერში ბიუჯეტის მიმართ ცვლილება მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებით განხორციელდა 8-ჯერ, ხოლო მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ბიჟუჯეტის დაზუსტება მოხდა 6-ჯერ

(მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 იანვრის N51 81, 7 თებერვლის N51 204 და 28 თებერვლის N51 366, 7 აგვისტოს N51 1235, 24 აგვისტოს N51 1251, 31 აგვისტოს N51 1424 ბრძანებებით), დაზუსტების შედეგად ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა **30312.4** ათასი ლარით. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები შედგენს 8944.7 ათასი ლარს. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად **1045.5** ათას ლარს. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 1122.8 ათას ლარს, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 5254.2 ათ ლარს. სოფლის მხარდამჭერ პროგრამაზე 823.7 ათასი ლარს, მაღალმთიანი განვითარების ფონდიდან 698.5 ათასი ლარს. ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა **21114.7** ათასი ლარით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები **10596.1** ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები **10518.6** ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **253.0** ათასი ლარით. 2020 წლის პირველი იანვრისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **4559.9** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **991.0** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **3568.9** ათას ლარს . მათ შორის:

#	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა
1	2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით სულ	4559875
2	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	
3	რეგრესის პენსია საქ.პრეზიდ.26.12.07წ #771 განკ.	5591.17
4	საქ მთავრ. 26.05.2012წ N972 განკ.მიწისძვრით დაზარალ. დასახმარებლად	15400
5	საქ.მთ.18.01.2018 წლისN136 განკ. გზების რეაბილიტაცია	97961.56
6	საქ.მთ.13.06.2017წ. N1213 განკ.სატიქიის შედეგების სალიკვიდაც.ღონისძ.განსახორციელებლად	2000
7	საქ.მთ.12.07.2017წ N1454 განკ.წყლის სისტემის რეაბილიტ.	20752.52
8	მიზნობრივი ტრანსფერი	14368

9	სკოლოების რეაბილიტაცია	1006
10	საქ.მთ.31.12.2018წ. N2577 განკ.გზების რეაბილიტ.	31307.49
11	საქ.მთ.18.012019წ.N13 განკ.სკოლების რეაბილიტ.	13707.4
12	საქ.მთ.18.012019წ.N13 განკ.სკოლების ტრანსპორტირების	18567.94
13	საქ. მთავრობი 22.01.2019წ N45 განკ.სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	11707.96
14	საქ. მთავრობის 15.03.2019წ.N558 განკ. სტიქია	66736.94
15	საქ. მთავრობის 15.03.2019წ.N554განკ. ამბულატორია	797.83
16	საქ. მთავრობის 12.042019წ.N815განკ. გზების რეაბილიტაცია	451594
17	საქ. მთავრობის 10.07.2019წ.N1596 მუნიციპალიტ მიერ განსახორც. ღონისძიებები(სხვადასხვა განკარგ.დარჩენ.ნაშთების გაერთიანება)	239498
18	**სულ ც/ ბიუჯეტიდან**	990996.81
19	**საკუთარი ნაშთი**	3568878.19

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის *III* კვარტლის (იანვარ-სექტემბრის თვის) ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ანალიზი

დასახელება	**გეგმაIIIკვ.**	**საკასო შესრ. IIIკვ**	**პროცენტი**
შემოსავლები	**19228.9**	**17838.6**	**92.8**
გადასახადები	7875.0	8319.4	105.6
გრანტები	4829.8	4821.6	99.8
სხვა შემოსავლები	6524.1	4697.5	72.0
არაფინანსური აქტივების კლება	**158.0**	**130.4**	**82.5**
სულ შემოსულობები	**19386.9**	**17969.0**	**92.7**
ფინანსური აქტივების ცვლილება (კლება)	**3300**	**1807.2**	
ფინანსური აქტივების ცვლილება (ზრდა)			
სულ შემოსულობები ფ/ა კლების ჩათვლით	***22686.9***	***19776.2***	***87.2***

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის (იანვარ-სექტემბრის) თვის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი ფინანსური

აქტივების ცვლილების (კლება) გარეშე განისაზღვრა 19386.9 ათასი ლარით, ფინანსური აქტივების ცვლილების (კლება) ჩათვლით 22686.9 ათასი ლარით), საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 17969.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 19386.9 ათასი ლარის 92.7 %. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიუჯეტში შემოსულია **409.9** ათასი ლარით ნაკლები შემოსულობები. (2019 წლის იანვარ-სექტემბრის ფაქტიური შემოსულობები შეადგენდა 18378.9 ათას ლარს).

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივის ცვლილება(კლება) გეგმით განისაზღვრა 3300 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად ფინანსური აქტივის კლებამ შეადგინა 1807.2 ათასი ლარი.

სახეობების მიხედვით 2020 წლის III კვარტლის ფაქტიური შემოსულობების ხვედრითი წილი მთლიან ბიუჯეტში



<u>შემოსავლები</u>

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის იანვარ-სექტემბრის თვის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლებდან (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები):

<u>I. გადასახადების სახით</u> ბიუჯეტში მობილიზებულია 8319.4 ათასი ლარი, მესამე კვარტლის გეგმის 7875.0 ათასი ლარის 105.6 % და წლიური გეგმის 10596.1 ათასი ლარის 78.5% და როგორც დიაგრამიდან ჩანს მთლიანი ბიუჯეტის შემოსავლების 46%, ანუ მესამე კვარტალში შემოსავლების თითქმის ნახევარი გადასახადებზე მოდის. სახეობების მიხედვით:

<u>ქონების გადასახადიდან</u> საანგარიშო პერიოდში მიღებულია სულ 2380.2

ათასი ლრი, გეგმა განსაზღვრული იყო 1275.0 აქედან იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) შემოსულია 2349.9ათასი ლარი, სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწიდან ქონების გადასახადი 30.3 ათასი ლარი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოსულია 5939.2 ათასი ლარი მესამე კვარტლის გეგმის 6600.0 ათასი ლარის 90.0 %.

<u>II.გრანტები</u> საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 4821.6 ათას ლარი (გეგმა 4829.8 ათ. ლარი), მთლიან შემოსავლებში გრანტებმა შეადგინა 27%, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩაირიცხა 619.3 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 720.6 ათასი ლარი. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 3109.7 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე 372.0 ათასი ლარი.

<u>III სხვა შემოსავლები</u> 2020 წლის მესამე კვარტლის (იანვარ-სექტემბრის) გეგმით განსაზღვრული 6524.1 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტიურმა შესრულებამ 4697.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 72.0 %-ია. მთლიან შემოსავლებში სხვა შემოსავლების ხვედრითმა წილმა 2020 წლის ცხრა თვეში 26% შეადგინა.

სხვა შემოსავლებიდან პროცენტები დარიცხული საბიუჯეტო სახსრების ყოველდღიურ ნაშთზე მომსახურე საბანკო დაწესებულებაში, შემოსულია 156.3 ათ ლარი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი ჩაირიცხა ბიუჯეტში 2864.1 ათ. ლარი გეგმის (4629.1 ათასი ლარის) 61.9 %. მათ შორის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი ჩაირიცხა 2841.0ათ. ლარი, ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 15821 ლარი, წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 508 ლარი, გადამფრენი ფრინველების ამოღებიდან 2471 ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი 4293 ლარი. შენობა–ნაგებობების იჯარა შემოსულია 14.5 ათ. ლარი, (გეგმა 3.0 ათასი ლარი), მიწის იჯარა 1.6 ათ. ლარი. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი 38.1ათ. ლარი, გეგმის 35.0 ათასი ლარის 108.7%. , სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1506.0 ათასი ლარი, გეგმა 1500.0 ათასი ლარი. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 6.6 ათ. ლარი, გეგმის 20.0 ათასი ლარის 33.1% სანქციებიდან და ჯარიმებიდან შემოსავალმა შეადგინა 83.6 ათ. ლარი, (გეგმა 111.0 ათასი ლარი)

შესრულებულია 75.3 %-ით. აქედან საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო მეურნეობის წესების დარღვევისთვის შემოსული ჯარიმა შეადგენს 53.8 ათას ლარს, სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის 29.8 ათ. ლარს. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი, შემოსულია 26.7 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ცვლილებით (კლებით) იანვარ-სექტემბრის თვეში ბიუჯეტში შემოსულია 130.4 ათ. ლარი, გეგმით განსაზღვრული იყო 158.0 ათასი ლარი, შესრულება შეადგენს 82.5%-ს. შემოსავალი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 102.8 ათასი ლარი, არაწარმოებელი აქტივების გაყიდვიდან 16.6 ათასი ლარი. მატერიალური მარაგების გაყიდვიდან 11.0 ათასი ლარი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის III *კვარტლის (იანვარ-სექტემბრის თვის) ბიუჯეტის ასიგნებები*

მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ბიუჯეტის გადასახდელები III კვარტალში (იანვარ - სექტემბრის თვეში) განისაზღვრა **22686.9** ათასი ლარით. გაწეულმა საკასო ხარჯვამ შეადგინა **19776.2** ათასი ლარი, ათვისებულია გეგმიური მაჩვენებლის **87.2** %.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის III კვარტლის ბიუჯეტის გადასახდელების ხვედრითი წილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით გამოსახული პროცენტულ მაჩვენებლებში მთლიან ბიუჯეტთან



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის III კვარტლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შესრულების ანალიზი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულება (ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების) ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (ათას ლარებში)			
დასახელება	გეგმა	შესრულება	შესრულების %
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2761.8	2407.1	87.2
ეკონომიკური საქმიანობა	8650.8	7616.1	88.0
გარემოს დაცვა	1228.2	979.7	79.8
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1564.0	1418.2	90.7
ჯანმრთელობის დაცვა	134.4	124.9	92.9
დასვენება , კულტურა,რელიგია,სპორტი,	3028.1	2587.0	85.4
განათლება	3784.8	3265.8	86.3
სოციალური დაცვა	1534.8	1377.3	89.7
სულ ხარჯები	22686.9	19776.2	87.2

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან:

1. მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებას მოხმარდა **მესამე კვარტალში 2407.1** ათასი ლარი, გეგმიური ხარჯების **2761.8** ათასი ლარის **87.2** % მ.შ. მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა **2343.1** ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების შეძენას მოხმარდა **25.7** ათასი ლარი, ვალდებულებების კლებას 38.4 ათასი ლარი. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ასიგნებებიდან **მუნიციპალიტეტის საკრებულოს** დასაფინანსებლად მიმართული იქნა **462.6** ათ. ლარი. დაფინანსდა 92.1 %-ით. (გეგმა 502.1 ათასი ლარი), **მუნიციპალიტეტის მერიის** დასაფინანსებლად **1667.1** ათ. ლარი, დაფინანსდა 86.7 %-ით (გეგმა 1921.9 ათ.ლარი). **ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობას** მოხმარდა **81.1** ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე იქნა მიმართული. დაფინანსდა 73.7 %-ით (გეგმა 110.1 ათ. ლარი). **თანამშრომელთა გადამზადების პროგრამაზე** განსაზღვრული 6.0 ათასი ლარიდან 2020 წლის მესამე კვარტალში 2.5 ათასი ლარი იქნა ათვისებული. საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებათა მიზნობრივ პროგრამაზე გაიხარჯა 9 თვეში 193.9 ათასი ლარი, გეგმიური ხარჯის 200.0 ათასი ლარის 97%.

2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი იქნა ცხრა თვეში 200856 ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, კერძოდ ა) 64840 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 14 იანვრის N51 45 ბრძანების შესაბამისად. ბ) 59748 ლარი გაიცა მერის 2020წლის 13 თებერვლის N51 227 ბრძანების შესაბამისად. დ) 11176 ლარი გაიცა მერის 2020 წლის30 იანვრის N51 146 ბრძანების შესაბამისად. ე) 2306 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 28 თებერვლის N51 365 ბრძანების შესაბამისად. 62494 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 27 აპრილის N 51 707 ბრძანების შესაბამისად, 100 ლარი გაიცა მუნიციპალიტეტის მერის 25 სექტემბრის N 51 1586 ბრძანების შესაბამისად, 192 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 25 სექტემბრის N51 1587 ბრძანების შესაბამისად.

3. მერიის სარეზერვო ფონდიდან 2020 წლის სამ კვარტალში გამოყოფილი იქნა 77951 ლარი ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, მათ შორის: ა) მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 იანვრის N51 80 ბრძანების შესაბამისად საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღსადგენად გამოყოფილი იქნა 18250 ლარიჯმუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის

22 იანვრის N51 95 ბრძანების, 12 თებერვლის N51 222 ბრძანების და 12 თებერვლის N51 223 ბრძანების საფუძველზე ახალგაზრდული პროგრამის ღონიძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა შესაბამისად 1200 ლარი, 1930 ლარი და 990 ლარი. მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 თებერვლის N51 230 ბრძანების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 880 ლარი, ევროპის რეგიონთა ასამბლეას 2020 წლის საწევროს შესატანად, მუნიციპალიტეტის მერის 18 თებერვლის N51263 ბრძანებით სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იქნა 5100 ლარი, სპორტული ობიექტების აღჭურვა რეაბილიტაციისათვის 2260 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 06 მარტის N51 423 ბრძანებით სოფელ თაბაგრების დაზიანებული ხიდის აღსადგენად საპროექტო სამუშაოებისათვის 1500 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 17 მარტის N51 517 ბრძანებით წირქვალის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდ-ბოგირის აღსადგენად 25413 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 18 მარტის N51 525 ბრძანებით ზოგადი განათლების არაფინანსური აქტივების შეძენის მუხლით გამოეყო 6483 ლარი, საცხოვრებელი სახლების ფასადების აღსადგენად 45 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 25 მარტის N51 567 ბრძანებით ახალგაზრდული პროგრამების ღონისძიებებიდან ლიტერატურულ მუსიკალური საღამოს ორგანიზატორის ერთჯერადი ფულადი დახმარებისთვის 1000 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 20 მაისის N51 800 ბრძანების შესაბამისად საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღსადგენად გამოყოფილი იქნა 5700 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020წლის 11 აგვისტოს N51 1246 ბრძანების შესაბამისად სოფელ კაცხში მდინარე კაცხურაზე დაზიანებული ხიდბოგირის შესაკეთებლად საპროექტო სამუშაოებისათვის გამოყოფილი იქნა 1200 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020წლის 25 აგვისტოს N51 1361 ბრძანების შესაბამისად „თემობა 2020“-ის დოღში გამარჯვებული ახალგაზრდების დასაჯილდოებლად 1000 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020წლის 27 აგვისტოს N 51 1374 ბრძანების შესაბამის მართლმადიდებლური სკოლის სუბსიდირებისათვის გამოყოფილი იქნა 5000 ლარი.

4. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე განსაზღვრული ასიგნებების საკასო შესრულება 2020 წლის იანვარ - სექტემბრის თვეში შეადგენს **9034.3** ათას ლარს, დაფინანსდა 88.4 %-ით (გეგმა **10214.8** ათასი ლარი) მათ შორის: **ა)**. საგზაო ინფრასტრუქტურის

მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა **7190.2** ათასი ლარი (გეგმა 7819.3 ათასი ლარი), საიდანაც გზების რეაბილიტაციას მოხმარდა 6596.9 ათასი ლარი, (გეგმა 6601.0 ათასი ლარი), ხიდებისა მოაჯირების აღდგენა მშენებლობას 29.1 ათასი ლარი (გეგმა 104.9 ათასი ლარი), საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობაზე გაიხარჯა 147.9 ათასი ლარი (გეგმა 460.5 ათასი ლარი), ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების, კიბეების, მოედნების მოსაწყობად 416.2 ათასი ლარი (გეგმა 652.9 ათასი ლარი), **ბ).** წყლის სისტემის განვითარებას მოხმარდა 352.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 66.7%-ით, (გეგმა 531.5 ათასი ლარი), მათ შორის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 115.4 ათასი ლარი,(გეგმა 246.5 ათასი ლარი), შპს„ჭიათურის წყალის“ დაფინანსებაზე 236.7 ათასი ლარი (გეგმა 285.1 ათასი ლარი). **გ)**. გარე განათებაზე დაიხარჯა 372.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 70.8 %-ით (გეგმა 525.9 ათასი ლარი), აქედან გარე განათების ქსელის ექსპლოატაციას მოხმარდა 225.8 ათასი ლარი (გეგმა285.1 ათ.ლარი), გარე განათების ქსელის ახალი წერტილების მოწყობა რეაბილიტაციას 147.0 ათასი ლარი გეგმა 260.5 ათ.ლარი). **დ).** მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირებაზე გაიხარჯა 425.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 92.4 %-ით (გეგმა 460.9 ათასი ლარი).

ე). მუნიციპალიტეტის ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 26.0 ათასი ლარი (გეგმა 80.0 ათასი ლარი). **ვ)** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებას მოხმარდა 133.3 ათასი ლარი (გეგმა 152.5 ათასი ლარი), რაც მიმართული იქნა საცხოვრებელი სახლების ფასადების აღდგენაზე. **ზ).** მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე განსაზღვრული იყო 624.6 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 534.0 ათარი ლარი, აქედან მწვანე ნარგავების განაშენიანებასა და სკვერების მოვლა - პატრონობას მოხმარდა 217.0 ათასი ლარი (გეგმა 254.0ათასი ლარი),სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განხორციელებულ ღონისძიებებს 317.0 ათასი ლარი (გეგმა 370.6 ათასი ლარი). **თ).** სასაფლაოების შემოსაღობად განსაზღვრული 20.0 ათასი ლარი დარჩა აუთვისებელი.

5. დასუფთავებასა და გარემოს დაცვაზე გაიხარჯა 979.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 79.7 %-ით (გეგმა 1228.2 ათასი ლარი), ათვისებული თანხა მთლიანად მოხმარდა დასუფთავებასა და ნარჩენების გატანას, რაზეც ცხრა თვეში განსაზღვრული იყო 1131.2 ათასი ლარი. ხოლო სანიაღვრე არხების აღდგენაზე გამოყოფილი 97.0 ათასი ლარი დარჩა აუთვისებელი.

6. განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა **3265.8** ათასი ლარი, დაფინანსდა 86.3 %-

ით (გეგმა 3784.8 ათასი ლარი), აქედან სკოლამდელი დაწესებულებების (გაერთიანებული საბავშვო ბაღი) დაფინანსებაზე მიმართული იქნა 2042.2 ათასი ლარი. დაფინანსდა 89.1%-ით (გეგმა 2293.3 ათასი ლარი), ხოლო 400.1 ათასი ლარი სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა რეაბილიტაცია, მშერნებლობას მოხმარდა (გეგმა 471.0 ათასი ლარი). ზოგადი განათლების ხელსეწყობის პროგრამას მოხმარდა 823.6 ათასი ლარი (გეგმა 1020.5. ათასი ლარი), კერძოდ ბავშვების საცხოვრებელი ადგილებიდან სკოლამდე ტრანსპორტირებას.

7. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 85.4 %-ით გეგმით განსაზღვრული იყო 3028.1 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 2587.0 ათასი ლარი საიდანაც: **ა)** სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე განსაზღვრული 1244.9 ათასი ლარიდან, ფაქტიურად გაიხარჯა **1044.0**.ათასი ლარი, აქედან რაგბის სპორტული სკოლა დაფინანსდა 284.9 ათასი ლარით (გეგმა 316.6 ათასი ლარი), N27 სპორტული სკოლა 527.9 ათასი ლარით (გეგმა 673.0 ათასი ლარი) ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტსკოლა 174.1 ათასი ლარით. (გეგმა 195.3 ათასი ლარი). სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაციას მოხმარდა 57.2 ათასი ლარი (გეგმა შეადგენდა 60.0 ათას ლარს), **ბ)** კულტურისა და რელიგიის სფეროს განვითარებას მოხმარდა **1491.2** ათ. ლარი, გეგმით განსაზღვრული თანხის, 1701.3 ათასი ლარის 87.7%. აქედან N1 სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 196.1 ათასი ლარით (გეგმა 216.5 ათასი ლარი), N2 სამუსიკო სკოლა 124.6 ათასი ლარით (გეგმა 157.1 ათასი ლარი). სახვითი ხელოვნების სკოლა 47.4 ათასი ლარით (გეგმა 48.9 ათასი ლარი), ცენტრალური ბიბლიოთეკა 199.0 ათასი ლარით, (გეგმა 215.3 ათასი ლარი), კულტურის შემოქმედებითი ცენტრი 763.9 ათასი ლარით (გეგმა 810.2 ათასი ლარი), ჭიათურის თეატრზე გრანტის სახით გაიცა 47.1 ათასი ლარი (გეგმა 50.0ათ. ლარი), სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე გაიხარჯა 3.1 ათ. ლარი (გეგმა 20.0 ათ. ლარი), კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია აღჭურვაზე გამოყოფილი 73.3 ათასი ლარი არ გახარჯულა. რელიგიის ღონისძიებებზე 2020 წლის ცხრა თვეში გაიხარჯა გეგმიური 110.0 ათასი ლარი. **გ).** ახალგაზრდული პროგრამების დასაფინანსებლად მიმართული იქნა **51.8** ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით განსაზღვრული 81.9 ათასი ლარის, დფინაბსდა 63.2%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული იქნა წარმატებული ახალგაზრდების ჯილდოების გაცემა, სხვადსხვა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხარჯების დაფინანსება და ა.შ.

8. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გახარჯული იქნა 2020 წლის ცხრა თვეში **1502.2** ათასი ლარი, დაფინანსდა 89.6 %-ით. (გეგმა **1669.2** ათასი ლარი), აქედან:

ა) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოხმარდა **124.9** ათ. ლარი. დაფინანსდა 93.0% (გეგმა **134.4** ათ.ლარი). აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვის სუბსიდირებას მოხმარდა 99.3 ათასი ლარი,საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდამჭერი პროფრამები დაფინანსდა 25.6 ათასი ლარით.

ბ) სოციალურ პროგრამებზე გაიხარჯა **1377.3** ათასი ლარი, დაფინანსდა 89.7 %-ით (გეგმა **1534.8** ათ.ლარი). მათ შორის: ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოც. დაცვაზე მიმართული იქნა **677.8** ათ. ლარი, უმწეო და მიუსაფარი მოქალაქეთა კვებაზე (უფასო სასადილო) გაიხარჯა **92.6** ათასი ლარი, ომის ვეტერანთა დახმარებაზე **76.0** ათასი ლარი, ომის ვეტერანთა დაკრძალვაზე **1.0** ათ.ლარი, ოჯახებისა და ბავშვების დახმარებაზე **447.8** ათ. ლარი, სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად **36.0** ათასი ლარი. სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოც დაცვაზე გაიხარჯა 46.1 ათ. ლარი. მათ შორის დევნილთა სოც დაცვაზე 7.4 ათასი ლარი, ხანდაზმულებზე 20.0 ათასი ლარი, მარჩენალდაკარგულებზე 16.3 ათასი ლარი, ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახებზე 2.4 ათასი ლარი.

2020 წლის პირველი ოქტომბრისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **2752.7** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **1274.9** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **1477.8** ათას ლარს . მათ შორის:

N<	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა
1	2020 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით სულ	2752669
2	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	
3	რეგრესის პენსია საქ.პრეზიდ.26.12.07წ #771 განკ.	5591.17
4	საქ. მთავრ.26.05.2012წ.N972 განკ. მიწისძვრ.დაზ. დასახმარებლად	15400
5	საქ.მთ.18.01.2018 წლის N136 გზების რეაბილიტაცია	30091.56

6	მიზნობრივი ტრანსფერი	28856
7	სკოლოების რეაბილიტაცია	1006.86
8	საქ. მთ. 31.12.2018 წ. N2577 განკ. გზების რეაბილიტაცია	9270.49
9	საქ.მთ.18.01.2019წ N13 სკოლების რეაბილიტაცია	457.4
10	საქართ.მთ 22.01.2019წ N45 განკ.სოფლის მხარდამჭ.პროგრამა	4976.96
11	საქართ. მთ. 15.03.2019წ. წ N558 განკ.სტიქია	9559.7
12	საქართ. მთ. 15.03.2019წ. წ N554 განკ. ამბულატორია	329.83
13	საქ.მთ.12.04.2019წ.N815 გზების რეაბილიტაცია	7844.19
14	საქართ. მთ. 10.07.2019წ.N1596 განკ.მუნიციპალიტ.მიერ განსახორც. ღონისძ.	129903
15	საქ. მთ. 09.01.2020წ. N27 სკოლის მოსწ. ტრანსპორტირების	295215.89
16	საქ.მთ.18.12.2019წ. N2630 გზების რეაბილიტაცია	444926.88
17	საქ. მთავრ.09.01.2020 წ.N27 სკოლების რეაბილიტაცია	107594.14
	საქ. მთავრ.31.12.2019წ.N2752განკ. სოფლის მხარდამჭ. პროგრამა	90576.22
	საქ.მთავრ.23.07.2020წ.N130799(გაერთN17.2577.45.554)	93273
18	**სულ ც/ ბიუჯეტიდან**	1274873.29
19	**საკუთარი ნაშთი**	1477795.71

გივი მოდებაძე



მერი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია